 არც ფანჯარა აქვს, არც კარი.

მწვადი რკინისა, შამფური ხორცისა.

დედამ დაიღრიალა, შეილი გავარდა.

ტანი მაქვს ეკლიანიო, გული კი ეშხიანიო.

ა ნ ღ ა ზ ე ბ ი.

(მისგანვე წარმოდგენილი).


ქოლგით წვიმას ვერ შეაშინებ.

სიმართლის წინ მთებიც თავს იხრიან.

ქკუა თავშია და არა ხანში.

უშნო თერძი მაკრატელს დააბრალებს ხოლმე.

რ ე ბ უ ლ ი.



ს





,

ნ



ნ
 დი

| | | | | | | | | | |
|--|---|----------|----|----|---|---|---|-------------|---|
|  | „ | შერთება. | სა | 2, |  | , | გ | პუხარში ცე- | რ |
| | | | შ | | | | | ცლი? | |

| | | | | | | | | | |
|--|-----|--------------|-----|---|--------------|------|---|--|--|
|  | „ | ნაცვალ სახე- | ლი. |  | მზე როგორია? | ბია. | , | | |
| რ | 100 | კ | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|-------------------|---|---|---|---------------------------|----|-----------------------|--|--|
| გ | „ როგორც“ ანუ? |  | რ |  | ვინ დაიბადა 25 დეკემბ. | მკ | პურს რა ეკი- დება? | | |
|---|-------------------|---|---|---|---------------------------|----|-----------------------|--|--|

| | | | | | | | | | |
|---|----------------------|---|---|---|----------------|--|--|--|--|
| ს | ლაშის რა მოსდევს? | პ |  | რ | ბოლოტი ანუ? | | | | |
|---|----------------------|---|---|---|----------------|--|--|--|--|



გამოცანებისა: სეტყვა, ზამთარი. ბოლოკი, წარბები.
შარადა: თბილისი.

გეოგრაფიული ამოცანა: 1. ალავერდი, 2. ჯანეთი,
3. აწყური, 4. რიონი, 5. არტანი—აქარა.

რებუსი: ომი ყველას ეჯავრება.



შობის ხე.

(ძღვნათ ჩემს შვილებს)



აბრწყინვებულა დარბაზი,
შობის ხე ამკობს, ამშვენებს;
სანთელი სანთელს უცინის, —
მიდამოს ნათელს აყენებს.

თმა-ხუჭუქ ზურმუხტ ტოტებზე
ზიზილ-პიპილი ჰკიდილა...

ვიშ! აგერ „წმიდა ბასილსაც“
ხურჯინი გადუკიდილა.

რა მოაქვს? ტკბილეულობა,
რომ დაურიგოს პაწიებს,

ბეპელასავით მფრინავეებს,
ცუგრუმელებს და კვანწიებს.

შემოხვევიან ბავშვები:

გიგლა, აჩიკო, თინია;
კიკინობენ და ხტუნავენ...
დღეს ხომ იმათთვის ღვინია.

მხოლოდ პატარა ბესიკო
მისთვის გამდგარა განზედა;

ნეტა რათ გამოჩხეულა?
ან დაღვრემილა რაზედა?

დღეს აქ შემთხვევით მოწვეულს,
გლახ გული ძალზე სტკენია;

ფიქრობს: „ღმერთს, ნეტა ვიცოდე,
ასე რათ გაუჩენია?!

რატომ მეც არ მაქვს შობის ხე?!

რათა ვარ გამოჩხეული?!

მიზეზს ჯერ ველარ მიმხვდარა,
ვერ აუხსნია წყეული.

ვ. რუხაძე.





ოქროს ოც-ფრანკიანი.

(მოახრობა ფრანსუა კოპსესი)



როცა ლიუციენ დე-ჰემმა დაინახა, რომ მისი უკანასკნელი ქონება, ას-ფრანკიანი ქალაქის ფული, რულეტკის *) პატარა ნიჩაბმა წააჩოჩა, და როცა ის ადგა რულეტკის მაგიდიდან, რომელზედაც წააგო თავისი საცხოვრებლის მთელი ნარჩენი, ამ საბოლოო ბრძოლისთვის ერთათ შეკრებილი, მან იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა და შეეშინდა

არ წავიქცეო. ფიქრებ-არეული, მუხლებ მოღუნებული ის თითქმის უგრძობლათ დაეცა განიერ ტყავის სკამ-ლოგინზე, რომელიც სათამაშო დარბაზს გარს უვლიდა; რამდენსამე წუთის განმავლობაში ის უაზროთ ათვლიერებდა საიდუმლო **) და საზიზღარ ოთახს, რომელშიაც დაღუპა თავისი ახალ-გაზდობის საუკეთესო წლები; მისჩერებოდა მოთამაშეების გამხდარ და გაყვითლებულ სახეებს, სამი დიდ აბაჯურიანი ლამპით განათებულს, ყურს უგდებდა პატარა ნიჩბის ფხაქუნს და ფულის შრიალს მწვანე მაუღზე, მერე ცხადათ იგრძნო, რომ გაკოტრებული, ბოლო მოღებული კაცი იყო, გაიხსენა რომ სახლში, მაგიდის ერთ უჯრაში სამხედრო რევოლვერები ჰქონ-

*) რულეტკა — საფრანგეთში ძალიან გავრცელებული, თუმცა აკრძალული თამაშია. ძალია ბევრი ფულის წაგება და მოგება შეიძლება ამ თამაშში.

**) რადგანაც რულეტკის თამაში აკრძალულია, ამიტომ ზოგიერთ კლუბში საიდუმლო, დაფარული ოთახები აქვთ მისიკის მიჩენილი.



და, ის რევოლუციები, რომლებიც ისე სასახლოთ მარა მისმა, გენერალმა დე-ჰემმა, მაშინ უბრალო ზაატჩას*) ალების დროს; და დაღალულ-დაქანცულმა, სასო-წარკვეთილმა, უეცრათ ღრმით ჩაიძინა.

როცა გამოეღვიძა, გადახედა კედლის საათს, დარწმუნდა, რომ მხოლოდ ნახევარ საათს სძინებოდა და გარეთ გასეირნება მოუნდა, წმინდა ჰაერის ჩასაყლაპათ. შუა ღამეს თუთხმეტი წუთი აკლდა; ლიუციენი წამოდგა, ვიზმორა და უეცრათ გაახსენდა, რომ ეს შობის წინა ღამე იყო; და მახსოვრობამ, თითქო დასცინოდაო, მოულოდნელათ ცოცხლათ წარმოუდგინა თვალ-წინ მისი ბავშობა და ის, თუ როგორ ამ დღეს, დაწოლისას, ის ყოველთვის ფეხსაცმელს შედგამდა ხოლმე ბუხარში. **)

ამ დროს მოხუცი დრონსკი, სათამაშო სახლის მუდმივი წევრი, მიუახლოვდა ლიუციენს და ხვეწნით წაუბუტბუტა: — „მასესხეთ, თუ შეიძლებოდეს, ხუთი ფრანკი! ორი დღეა აქედან ფეხი არ მომიცვლია და ორი დღეა „ჩვიდმეტი“ არ გამოსულა! დამცინეთ თუ გინდათ, ამას კი გეტყვით, — და ხელს მოვიჭრი თუ ეს არ ასრულდა, რომ ახლავე, სწორეთ შუა ღამისას ეს ნომერი გამოვა!“

ლიუციენ დე-ჰემმა პასუხის მაგიერათ მხოლოდ მხრები ასწია. მას ჯიბეში იმდენი ფულიც კი აღარ მოეპოვებოდა, რომ ეს ჩვეულებრივი „ხარკი“ გადაეხადნა. ეს „ხარკი“ რომელსაც სათამაშო სახლის წევრები „პოლონელის ხუთ-ფრანკს“ ეძახდნენ. ის გავიდა დერეფანში, დაიხურა ქუდი, ჩაიკვა თავისი თბილი ბეწვის ქურქი და სწრაფათ ჩაირბინა კიბის საფეხურები:

იმ ოთხი საათის განმავლობაში, რომელიც ლიუციენმა სათამაშო დარბაზში გაატარა, გარეთ თოვლი მოსულიყო და ქუჩა, შუა-პარიზის ვიწრო, მაღალი სახლებით შემოზღუდული ქუჩა, მთლათ გადათეთრებული იყო. მოწმენდილ, მუქ-ლურჯ ცაზე ვარსკვლავები ცივათ კაშკაშობდნენ. გაკოტრე-

*) ზაატჩა—აფრიკის ქალაქია.

**) ფრანგული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ შობის წინა ღამეს ბუშებისაგან ბუხარში შედგმულ ფეხსაცმელებში ბავში—იესო-ქრისტე სდებს საჩუქრებს.



ბულ მოთამაშეს გააკანკალა თბილ ბეწვებს ქვეშ, მაგრამ ის მაინც გაუდგა გზას; თავში სულ სასოწარკვეთილი ფიქრები უტრიალებდა და ახლა კიდევ უფრო დაჟინებით აგონდებოდა ის რევოლვერებიანი ყუთი, რომელიც სახლში ელოდა, მაგიდის ერთ უჯრაში. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უეცრათ შეჩერდა ერთ საზარელ სანახაობის წინ; ქვის ჩამოსაჯდომზე, ძველებური ჩვეულების მიხედვით ერთი დიდებული სასახლის უზარ-მაზარ შესავალ კარებთან ვაკეთებულზე, ერთი პატარა, ექვსი თუ შვიდის წლის, კაბა-დაფლეთილი ქალიშვილი იჯდა; მას ეძინა ამ სასტიკ სიცივეში, ამ თოვლში; ლამაზი თავი და ნაზი მხარი კედლის ერთ კუნჭულში, გაყინული ქვისთვის მიეყრდნო, და მთელი მისი სუსტი, საბრალო არსება უზომო დაღალვას და უიმედობას გამოჰხატავდა. ცალი ფეხსაცმელი ჩამოვარდნოდა ძირს ჩამოკიდებული ფეხიდან და გულსაკლავათ ეგდო მის წინ, თოვლში.

დაუფიქრებლათ ლიუციენ დე-ჰემმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ წელან შიგ ერთ-ფრანკიანიც კი ვერ იპოვა კლუბის მსახურისთვის მისაცემათ; სიბრალოებით აღსავსე ის მიუახლოვდა ბავშს და შეიძლება კიდევ აეყვანა ის ხელში და თავის სახლში წაეყვანა, როცა უეცრათ, თოვლში ჩავარდნილ ფეხსაცმელში მან რაღაც ბრწყინვალე, რაღაც მოვლვარე დაინახა; ის დაიღუნა, დახედა... ეს ოც-ფრანკიანი ოქრო იყო!

უთუოთ ვინმე კეთილი ქალი გაივლიდა იქ, დაინახავდა ამ შობის ღამეს ამ დაგლეჯილ ფეხსაცმელს ამ საცოდავი ბავშვის წინ, მოიგონებდა ლამაზ ლეგენდას და ვასცემდა ამ ძვირფას საჩუქარს, რომ უპატრონო ბავშს, გაღვიძებისას, დაეჯერებინა პატარა იესო-ქრისტეს არსებობა და შერჩენოდა კიდევ გულში, თავისი უმწერო მდგომარეობის მიუხედავად, ცოტა ნდობა და ცოტა იმედი ზეციერი სიკეთისა.

ოცი ფრანკი! ეს მოსვენების, სიმდიდრის და ბედნიერების რამდენიმე დღე იყო პატარა მათხოვრისათვის და ის იყო ლიუციენი აპირებდა გაეღვიძებინა იგი და ეხარებინა მისთვის ეს ამბავი, როცა, თითქო სიზმარშიო, მას მოხუცი პოლონელის ხმა მოესმა; პოლონელი ბუტბუტებდა:— „ორი დღეა აქედან ფეხი არ მომიცვლია და ორი დღეა რომ ჩვიდმეტი“



არ გამოსულა! ხელს მოვიქრი თუ ახლავე, სწორედ შუა-ფა-
მისას, ეს ნომერი არ გამოვიდესო!“

მაშინ ამ ყმაწვილმა, ოც-და-სამი წლის კაცმა, რომელიც პატიოსანი წინაპრების შთამომავალი იყო, რომელიც ცნობილ, სასახლო გვარს ატარებდა და რომელსაც აქამდის არაოდეს არავითარი ცუდი საქციელი არ ჩაედინა, საზიზღარმა ფიქრმა გაუბრინა თავში; ის გაიტაცა, ის დაიმონა უცნაურმა, შეუკავებელმა სურვილმა; მან გარს მიმოიხედა, დარწმუნდა რომ სულ მარტო იყო ამ გადათეთრებულ, მიძინებულ ქუჩაზე, მოიხარა მუხლი, ფრთხილათ გასწია აკანკალებული ხელი და... მოიპარა ოც-ფრანკიანი ოქრო, რომელიც დახეულ ფეხსაცმელში ბრკევილებდა! მერე გიჟივით გაჰქანდა უკან, დაბრუნდა კლოზში, სწრაფათ აირბინა კიბე, ჰკრა ხელი შესავალ კარებს, შევარდა სათამაშო დარბაზში სწორეთ იმ წამს, როცა კედლის საათი შუალამის დარეკას იწყებდა, დაადლო ოქრო მწვანე მაუღზე და დაიყვირა: „ჩვიდმეტეო!“

„ჩვიდმეტი“ ამოვიდა. პატარა ნიჩაბმა ლიუციენს ოცდათექვსმეტი ოც-ფრანკიანი ოქრო მოუჩოჩა. ერთი ხელის გაქნევით ლიუციენმა მთელი ეს ფული წითელზე გადიტანა; წითელმა მოიგო. მან დატოვა მოგებული სამოც-და თორმეტი ოქრო ისევ ამ ფერზე, ამ ფერმა ისევ მოიგო. ერთხელ კიდევ, ორჯელ, სამჯელ განიმეორა ეს ლიუციენმა, ყოველთვის ამნაირათვე იგებდა. ახლა მის წინ მთელი გროვა იყო ოქროსი და ქალღლის ფულის, და ის ამ ფულს დაუფიქრებლათ, თითქო სთესავსო, ისე ჰფანტავდა იქით-აქეთ, მწვანე მაუღზე. სადაც უნდა დაედვა, რამდენიც უნდა დაედვა, ყველგან იგებდა! უცნაურათ, საკვირვლოათ, საშინლათ სწყალობდა ახლა მას ბედი! ადამიანს ეგონებოდა, ძელის პატარა ბურთი, რომელიც რულეტკის ბორბალზე დახტოდა, მოჯადოებულია ამ მოთამაშის თვალებით და მის ბრძანებას ემორჩილებაო. მხოლოდ ათიოდე ჯერ დატრიალდა ბორბალი—და ლიუციენმა კიდევ ამოიგო ის რამდენიმე უბედური ათასი ფრანკი, რომელიც ამ საღამოს წააგო. ახლა ის თითო თამაშზე ათას-ათას ფრანკს ისროდა მწვანე მაუღზე, და იგებდა, სულ იგებდა და იგებდა. მალე მან ამოიგო მთელი ის შემკვიდრებოთი სიმდიდრე, რომელიც ამ რამდენიმე



წლის განმავლობაში გაჰფლანგა ამ ღარბაზში; მეტიც მოიგო, ბევრათ მეტიც; შემოსვლისას ისეთი სისწრაფით მივარდა სათამაშო მაგიდას, რომ ბეწვის ქურქი არც კი გაიხადა, და ახლა ამ ქურქის ყველა ჯიბეები სავსე ჰქონდა ოქროთი და კეცა-კეცა შეკრულ ქალღმრთის ფულით; აღარ იცოდა სად შეენახა, სად ჩაეღებინა ფული, და იტენიდა მას, ქალღმრთის, ოქროს, განურჩევლათ სერთუკის, ჟილეტის და შარღლის ჯიბეებში, საპაპიროსეში, ცხვირსახოცში, ყველაფერში, რა-შეიძლება კი რისამე ჩატენა შეიძლებოდა. და სულ თამაშობდა, და სულ იგებდა, როგორც ლოთი, როგორც გიჟი, და კიდევ და კიდევ ისროდა მწვანე მაუღბე, გაბედვით, და მედიდურათ, აუარებელ სიმდიდრეს.

ხოლო ამ დროს გულში მას თითქო გახურებული რკინა უტრიალებდა და ის შეუწყვეტლათ ფიქრობდა იქ სასტიკ სიცივეში თოვლში მიძინებულ პატარა მათხოვარ ქალზე, პატარა ქალზე, რომელიც მან გაჰქურდა.— „იქ არის უთუფოთ, ისევ იმ ადგილზე!— ჰფიქრობდა ის.— აი, ახლავე... როგორც კი პირველი საათი დარეკავს... ჰო: ფეცს ვლებ რომ, როგორც კი პირველი საათი დარეკავს, მაშინვე წავალ აქედან... ავიყვან მას ხელში, ჩავიკრავ გულში, წავიყვან მძინარეს ჩემსას, ჩემ ლოგინში დავაწვენ... გავზრდი, მზითვეს მიცემ, გავათხოვებ... როგორც ჩემი საკუთარი შვილი, ისე მეყვარება... ყოველთვის, ყოველთვის ვიზრუნებ მასზე...“

მაგრამ კედლის საათმა პირველიც დარეკა, მეორის მეოთხედიც, ნახევარიც, სამი მეოთხედიც... ლიუციენი კი სულ იმ დაწყვეტილ მაგიდას ვერ მოშორებოდა, სულ თამაშობდა, სულ იგებდა...

ბოლოს, ორ საათს რომ ერთი წუთი აკლდა, თამაშის მეთაური წამოდგა და ხმა მაღლა გამოაცხადა:— „ბანკში ფული აღარ არის კმარა თამაში სადღეისოთა!“

ლიუციენი სწრაფათ წამოხტა, საჩქაროთ უზრდელათ მისწი-მოსწია მოთამაშეები, რომელნიც გარს ეხვეოდნენ და ხარბი აღტაცებით შესტკეროდნენ მას, გავშურა კარებისკენ, ჩამოარბინა კიბე და გაჰქანდა საჯდომისაკენ. ფარნის უქუზე შორიდანვე შენიშნა, რომ პატარა ქალი ისევ იქ იყო.— „მადლობა ღმერთს“ — წამოიძახა მან სიხარულით; მიუახლოვ-



და, ხელში ხელი სტაცა... ოჰ, როგორ სციოდა! ~~სა ცოდავს~~ ხელი მთლათ გაყინული ჰქონდა! ლიუციენმა მკლავი მოჭხვია წელში, წამოსწია... ბავშვის თავი უღონოთ უკან გადასვენა... რა მაგრათ სძინავთ ბავშვებს! — ლიუციენმა პატარა ქალი გულზე მიიკრა, რომ გაეთბო, და თვალებში კოცნა დაუპირა, რომ გაეღვიძებინა, მაგრამ უეცრათ შეკრთა და დაბარბაცდა; დაინახა, რომ ბავშვს თვალის ქუთუთოები ნახევრათ გახელილი ჰქონდა და მათ ქვეშ უჩანდა უძრავი, ჩამქრალი, თითქო ქიქის თვალები. საზარელმა აზრმა გაუელვა თავში ლიუციენს. მან მიუახლოვა ტუჩები ბავშვის ტუჩებს, — არავითარი სუნთქვა მისი პირიდან არ ამოდიოდა! იმ დროს როცა ის, ლიუციენი, ურიცხვ და უთვალავ ფულს იგებდა იმ ბავშვისთვის მოპარული ოქროთი, ეს უპატრონო, უბინაო, საცოდავი ბავში მომკვდარიყო, მომკვდარიყო სიცივით!

უსაზღვრო სასოწარკვეთილებამ ყელში წაუჭირა ლიუციენს; მან მოინდომა დაეყვირა, დაეკივლა... და უეცრათ გამოეღვიძა სათამაშო დარბაზში, განიერი ტყავის სკამ-ლოგინზე; დარბაზი ცარიელი იყო; კლუბის მსახურს, როგორც ჰგავდა შესცოდებოდა ეს გაკოტრებული მოთამაშე და აღარ გაეღვიძებინა სახლში წასასვლელათ. დეკემბრის მკრთალი განთიადი ფანჯრებს ოდნავ ანათებდა. ლიუციენი გარეთ გამოვიდა, თავისი საათი დაავიროა, ტანი დაიბანა, საუზმე ჰამა და გაეშურა იმ კანტორაში, სადაც აფრიკის სამხედრო ჯარში შესვლის მსურველებს სწერენ და რიცხვენ.

დღეს ლიუციენ დე-ჰემში ლეიტენანტია. მას ჯამაგირის მეტი არა გააჩნია რა, მაგრამ ეს ჯამაგირი ჰყოფნის რადგანაც ძალიან სადათ ცხოვრობს და რულეტკას კი არა, კარტსაც სიახლოვეს არ ეკარება. ის კი არა, როგორც ჰგავს, ფული რჩება კიდევ; ამას წინეთ, ალჟირში, მას ერთი მისი ამხანაგი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ აღმართში უკან მისდევდა და დაინახა, რომ მან რაღაც ჩაუდვა ხელში პატარა ისპანიელ ქალიშვილს, რომელსაც ერთი სახლის კარებ წინ მისძინებოდა. ამხანაგი ცნობის მოყვარეობით მიუახლოვდა პატარა ქალს, და განცვიფრებული დარჩა ღარიბი ლეიტენანტის გულ-უხვობით: ლიუციენ დე-ჰემს პატარა მათხოვარი ქალისთვის ოც-ფრანკიანი ოქრო ჩაედვა ხელში!

ელ. დემოლონ წერეთელი.

ო მ ი.

ბიძია ჟორჟის ნამბობი.

(დასასრულა)



ი მოედანიც! რამდენი ჯარის კაცია, სულ კი მტრისა! ყველგან, ყველგან ისინი. გვიყვირიან, გვაგდებენ, დედის მუდარებას და ხვეწნას ყურადღებას არ აქცევენ. დედამ მხრებზე დამიყენა:

— კარგა უყურე, იქნება მამა დაინახო?

მე რაც კი შემეძლო გავიჭიმე და დავინახე, რომ სამსჯავროს კარებთან სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი მთელი გროვა იდგა, და იმათში მამაც იყო.

— აი... აი! მამა!

დედამ ორ შეიარაღებულ სალდათს, რომელნიც გზას გვიღობამდენ, ხელი ჰკრა. მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ დედა ასეთი ღონიერი იყო!

მამამ დაგვინახა. ის, ტყვეებ შორის დარაჯებით შემორტყმული, გაფითრებული იდგა. ხელ ახლათ შეგვიკრეს კბა.

— პავლე?... პავლე? — დაიყვირა დედამ.

— მოკლულია — ანიშნა მამამ.

დედამ ძირს ჩამომსვა და ტირილით მუხლებზე დაეცა. მე ვტიროდი, მინდოდა მამა მენახა, მაგრამ საღდაც წაიყვანეს. შიშისაგან დავიწყე ყვირილი, უცბათ რაღაც ბრძანება მოისმა, ცხენის თქარა-თქური და რამდენიმე ღენერალი პირდაპირ ჩვენთან მოაქენებდნენ. აგერ აგერ გაგვკაცებდნენ. ერთი მოხუცებული მხედარის ცხენი ჩვენ წინ ყაყაყებდა და განზე გახტა. ის ჯავრობს, ყვირის: რათ შემოგვიშვებს? ეს უთუოთ

ღენერალი იყო, გული სულ ნიშნებით ჰქონდა მორთული, ზიანი სახე ჰქონდა... ცხენივით გადმოხტა, მოგვიახლოვდა, დაგვაკვირდა, იქ მდგომთ რაღაც უთხრა და გვიბრძანა უკან გავყოლოდით. ჩვენი დარაჯების შუა გავიარეთ, სადაც მაგიდას რამდენიმე გაჯავრებული და ავი შესახედავი ოფიცრები მოსხლომოდნენ. მამა იმით წინ იდგა. ღენერალმა იმას რაღაც ჰკითხა, მერე დედას და ოფიცრებს მიმართა: ღენერალს უნდოდა, რომ მამა გაენთავისუფლებინათ. სხვები არ ეთანხმებო-



ღენ, მეტადრე ერთი იმათგანი, რომელსაც უნდოდა, რომ მამა დაეხვრიტათ. დიად - დაეხვრიტათ! როგორც შემდეგ მი-



ამბეს, მამა იმ ღამეს დაატყვევეს, როდესაც მტრის ბანაკი უნდა უკან დასაბრუნებლათ გამოეცლო. გამოკითხვის დროს თავისი ვინაობა გამოუცხადა და სად მიდიოდა, მაგრამ არ დაუჯერეს და ჯაშუშათ სცნეს. იმისმა ამყობამ და უშიშრობამ, ოფიცრები მოთმინებიდან გამოიყვანეს დედა რომ არ მო'ულიყო, მოხუცებული ღენერალი რომ არ შეგვხვედროდა და არ შევებრალეთ, მამას უთუოდ დახვრეტდნენ!

ბოლოს ჩვენ გაგვანთავისუფლეს, რაღაც ქალღიბლი მოგვცეს, რომ აღარ დავებრკოლებინებ და სახლში დავბრუნდით. ჩვენ ისევ იმ აოხრებულ და დარბეულ ქუჩებზე გამოვიარეთ. რა სამწუხარო დაბრუნება იყო! მე ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება. დედა ნაღვლით წელში მოიკაკვა, ძლივს ინძრეოდა და ცრემლები სუნთქმას უხუთავდნენ. მამა დაქანცული და დატანჯული, ტალახიანი, დაგლეჯილი ტანისამოსით თავ ჩაღუნული მოდიოდა და მუშტებს უღერდა მტრებს. ყოველ ნაბიჯზე შეგვაჩერებდნენ ხოლმე, გავლის ნების ქალაღდს შინჯავდნენ და ეკვის თვალთ გვიყურებდნენ. მე მამას არ ვშორდებოდი. ძალიან შეწუხებული ვიყავი. მამის ნახვა მიხაროდა! იმისი ახლოს ყოფნა მამხნევებდა!

ვანო სახლში არ იყო, მეზობლებმაც იმის შესახებ არაფერი არ იცოდნენ.

დედა ტიროდა და იმეორებდა:

— მოჰკლეს! ისიც მოჰკლეს... ერთი არ ეყოფოდით!

მამა ამშვიდებდა და ანუგეშებდა.

— არა! — ის ცოცხალია. . მე დარწმუნებული ვარ... უსათუოდ სროლის შემდეგ ჩვენებთან ერთათ გაიქცა, იქ ჩვენზე უფრო უშიშრათ იქნება.

— ოჰ დაწყევლილიც იყოს ომი!

მამა გაჩუმებული იყო. მე ვგრძნობდი რომ ისიც ომსა სწყევლიდა, ჩვენ გასამხნეველათ, მამა თითქოს უფრო დამშვიდებული იყო. მთელი დღეები გასაველელ ბარათის წყალობით დარბოდა, რომ ვანოს ამბავი გაეგო. მაგრამ დაღალული და სასოწარკვეთილი სახლში ბრუნდებოდა

მე სიტყვა უნდა მიმეცა ჩვენებისთვის რომ ვანოს სახელი არ მესხენებინა, რადგან სახლი მტრით სავსე იყო. როდესაც ნებადართ შემოდირიანენ და გადიოდნენ, სკამდნენ, სვამ-



დნენ და რაც კი მოეწონებოდათ დაუკითხავათ თან მისკენ-
დათ. მამას მოთმინება ელეოდა; დედა ეხვეწებოდა:

— თუ ღმერთი გრწამს, დამშვიდდი, მოითმინე! ისინი გამარჯვებულები არიან და რაც უნდათ იმას სჩადიან. არ დაგინდობენ. მარტო შენლა შეგვრჩი!..

შენ ვერც კი შეგიძლია წარმოიდგინო თუ რა ძნელი იყო ამ შიშში ცხოვრება! ღმერთმა არა დროს არ გამოგაცდევინოს.

ნელ-ნელა მტრის ჯარი სადღაც გადაჰყავდათ და ცოტათი თავისუფლათ ამოვისუნთქეთ. დაქრილი, რომელიც ჩვენთან დასტოვეს, საავადმყოფოში გადაიყვანეს. იმის წყალობით ჩვენ ცოტა უკეთ გვეპყრობოდნენ და დედა, მგონი სიბრალოლთ იმის სანახავათ დაიარებოდა ხოლმე. მეც თან მივდევდი არა იმიტომ, რომ ავთამყოფი მენახა, სახლში მარტო დარჩენა მეშინოდა.

მე დედას უკან ვიმალებოდი, რომ არავის არ შევემჩნიე, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებდი. ავთამყოფი თვალს არ მაშორებდა, თუმცა იმას თვალების გამომეტყველება მეტათ კეთილი ჰქონდა, მაგრამ მაინც მეშინოდა, ეს ხომ ჩვენი მტერი იყო, დედა ყურადღებით ექცეოდა და ელაპარაკებოდა, იმ სიტყვების წყალობით, რომელიც იმისაგან მან შეისწავლა. ერთხელ დაქრილი საშინელი შეწუხებული მიყურებდა, დედამ მითხრა, ახლოს მივსულიყავი. მე არ მინდოდა, დედამ ძალით მიმიყვანა. საბნიდამ ხელი ამოიღო და რამდენჯერმე თავზე გადამისვა, ხელი გაციებული ჰქონდა. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა, გაქცევა მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო: დედას მაგრა ვეჭირე. იმან გაიღიმა და პირი მიიბრუნა; ენახე რომ მის ფერმკრთალ სახეზე ცრემლები გადმოსცვივდა.

მე შემრცხვა. როცა სახლში დავბრუნდი, დედამ მითხრა, რომ შემდეგში დაქრილს უფრო აღერსიანათ მოვპყრობოდი; მე უარზე ვიდგვი:

— არა, არა! მე ის მეზიზღება, ჩვენი მტერია!

— იმისი ბრალი ხომ არ არის ისე, როგორც ჩვენი ბრალი არ არის ომი... ის საშინელი უბედურია... სახლში შენი ხნის ვაჟი დარჩენია, რომელსაც ისე უყვარს, როგორც შენ გიყვარვარ და ის შეილი იმისთვის ისე ძვირფასია, როგორც

შენ ჩემთვის. ის იძახის, რომ შენ იმის შეილსა ჰგავხარ, და როცა შენ მიდიხარ იმასთან, თითქოს თავის პატარა ბიჭუნას ხედავს. შე მაინც ჯიუტათ უპასუხებდი.

— მე მტრები მეზიზღებიან.

— შენ ავი ბავში ხარ! — მითხრა დედამ და ჩემთან ლაპარაკი აღარ უნდოდა

დედა ჩემის სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება იქონია, მაგრამ მეგონა რომ ვაჟაკს სისუსტე არ შეჭფერის. მე ძალიან მებრალეობოდა ის პატარა ვაჟი, რომელიც თავის ავათმყოფს და ტანჯულ მამას მოეღის... ჩვენები, თუ უცხო, ყველანი იტანჯებოდნენ, ყველას თავისიანებთან მოშორება ეძწელებოდათ; ყველამ თავის უნებურათ ომი დაიწყო. ეხლა სულ სხვა ნაირათ ვსჯიდი და სხვანაირათ მესმოდა ყველაფერი.

მთელი ღამე საწყალი მიტოვებული ბავში და მისი ავათმყოფი მამა მესიზმრებოდა. დილით დედას მოწიწებით გამოუცხადე:

— იცი, დედა? მე იმას კვლავ აღერსიანათ მოვეპყრობი.

— გვიანლა არის, ჩემო კარგო... ის აღარ არის.

— მაშ სად არის? თავის შეილთან წავიდა?

— არა... ის იმას ველარ ნახავს.

— არას ღროს?

— არას ღროს!

რა დაემართა? ძლივს გავიგე... ის თურმე მოკვდა. ძალიან შემეცოდა. როგორ ხშირათ ვფიქრობდი ხოლმე იმ უცხო ბავშვზე! ისიც ჩემი მტერი იყო, მაგრამ მიყვარდა; თუმცა არ ვიცნობდი, მაგრამ ძალიან მეცოდებოდა!

IX

იმის ამბავს რაც შემდეგ მოხდა აღარას გიამბობ. შენთვის ისიც საკმარისია რაც გიამბე. ბევრი ბძროლა და შეტაკება იყო. ქალაქებს არბევდნენ და სწვამდნენ. მცხოვრებლებს შიმშილით სტანჯავდნენ. შემდეგ შევიტყვე, სხვა ადგილებში ჩვენზე უფრო მეტათ იტანჯებოდნენ და ბევრათაც დაზარალდნენ.

ცოტალა დამრჩა საამბობი. აღარაფერი არ მომხდარა. ისევ ისე წინანდელივით მწარე და მძიმე შთაბეჭდილება. ამა-



სთანავე მე ავთ გავხდი ღამე ბრძოლა, კაცის კვლავ ბაზნების სროლა მესიზმრებოდა. ღლისითაც კი როცა ჯების ფეხის ხმას გავიგონებდი (ჩვენ ქალაქში მტრის ჯარი დიდხანს იყო გაჩერებული) შიშისაგან ვკანკალებდი და ბალიშებში ვიმალებოდი. მახსოვს რომ დედა, მამა და ჩვენი მოხუცებული მკურნალი შეწუხებული ჩამტკეროდნენ და რალაც მწარე და უგუნურ წამლებს ძალის ძალათ პირში მასხამდნენ. მახსოვს, რომ ბოჯოს აღარ ვჯიუტობდი და ყველაფერს, რასაც კი მირჩევდნენ ვსვამდი და ვასრულებდი იმათ სიტყვას. შემდეგ, როდესაც სარკეში ჩემი გამხდარი, ფერმკრთალი და მისუსტებული სახე დავინახე. ჩემი თავი ველარ ვიცანი და გადავწყვიტე, რომ რაც შეიძლება მალე გამომრთელებულვიყავ. მართლაც უკეთ შევიქენი და ვანო მიჩვენეს. ვიცოდი რომ პავლეს ველარ ვნახამდი. მითხრეს, რომ ვანოც ძალიან გამოცვლილა, რომ ისიც ძალიან ავთ არის და ვერ დადის. მე თუმცა ვანოს შესახებ მომზადებული ვიყავი, მაგრამ მაინც საშინელება იყო, როდესაც ჩემ გვერდით ოთახში ყავარჯენის ბაკა-ბუკი გავიგონე. მართლაც ყავარჯენით დაბჯენილი შემოვიდა ოთახში.

მე შეეკრთი, მაგრამ იმისმა ღიმილმა დამამშვიდა. ის ძალიან გამხდარი და ფერ მკრთალი იყო და ტანზე გრძელი ფეხებამდინ ჩასაცმელი ეცვა.

— აბა, რას იტყვი? — აი მეც ოთხ ფეხზე დავდივარ, — სთქვა მან.

— დაქრილი ხარ?

— არაფერი, უბრალოა...

— შენ ხომ ყოველთვინ ყავარჯენით არ ივლი?

— არა, არა, მარტო ეხლა, მეზარება, დავიღალე... ასე უფრო მემარჯვება...

— შენც იომე?

— ჰო, ცოტა...

დედამ ტუჩებზე ხელი მიადო, ექიმმა აუკრძალა, რომ ჩემთან ომზე არ ელაპარაკნათ. შემდეგ შევიტყე, რომ, როგორც მამა ფიქრობდა, ვანო სხვა სალდათებთან ერთათ გაქცეულიყო, რომ არ დაეხვრიტათ. თავის წლოვანობას მალავდა და ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა. მამამ ბევრი ძებნის შემ-



დევ, ჩემ ავთმყოფობის დროს იპოვნა. მე ძალიან მიხაროდა, რომ ცოცხალი დაბრუნდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ სტუდენტობის დროს გამომთვლდებოდა.

როდესაც კარგა გავხდი ქვეშაგებიდამ ადგომის ნება მომცეს, სათამაშოები და წიგნები მომიტანეს. ეს სათამაშოები და წიგნები 'შემეზიზლა' სალდათობიანობის თამაში აღარ მინდოდა: ისეც ბევრი სალდათი და ნამდვილი ომი ვნახე, რომელმაც ამოდენა შიში და უბედურება თავზე დაგვატეხა.

ლიუსის რა დაემართა? — ვიკითხე მე ბევრის ტორტმანის შემდეგ, რადგან მეშინოდა, რომ ვაითუ იმასაც რაჟე უბედურება დაატყდა.

— ლიუსი და დედა მისი, როდესაც ქალაქში სული სიმშვიდით ჩამოვარდებოდა, მაშინ დაბრუნდებიან; ხომ იცი, რომ ისინი გაიხიზნენ?

მამა მოვიდა და გამოგვიცხადა, რომ ზავი ჩამოვარდა.

გამარჯვება მტერს ღარჩა. ჩვენი ჯარი ყველგან დამარცხდა. ორივე მხარე ომისაგან ისე მოქანცული იყვნენ, რომ ომის შეწყვეტას დაეჩქარნენ. მე, როგორც წინეთ ომის დაწყება მიხაროდა, ისე ეხლა ზავის ჩამოგდება ძალიან გამახარა.

— ჯერ კიდევ საქმე ესე ადვილათ არ გათავდება, — სთქვა მამამ, — ამბობენ რომ მტერმა ჩვენი ქალაქი და მთლათ ჩვენი მხარე დაიტოვაო.

— ჩვენ იმათ ხელში ვიქნებით?

— დიად, როგორც თავიანთი ქვეშევრდომნი.

— ისინი ხომ სულ სხვა ხალხნი არიან

— ჩვენც მათი საკუთრება ვიქნებით.

— ჩვენი ენა?

— ჩვენც იმათ ენაზე უნდა ვილაპარაკოთ.

— რომ არ ვიციტ!

— ძალით გვასწავლიან.

— უთუოთ იმათ უნდა დავემორჩილოთ!

— ყველაფერში.

— კიდევ რომ ომი ასტყდება?

— ჩვენც თავიანთ ჯარში გავიწვევენ.

მე სრულებით დავიბენი, არაფერი არ მესმოდა.

— არ მინდა!.. არ მინდა!..

— განა შენ გკითხამენ?

— უარი რომ ვსთქვა?

— დაგატუსაღებენ... ომში ვინც უფრო ძალოვანია, უფლებაც და სიწლიდრეც იმისია. ჩვენ რომ გვკითხავდნენ — ვართ თანახმა ჩვენი სიმდიდრე მივსცეთ და სხვის ნებას და-



ვემორჩილოთ მაშინ ომი აღარ იქნება!.. ღმერთია მართი მსაჯული..

მე მამა ჯერ ასე აღელვებული არ მენახა. მეც მაშინ არაფერი არ მესმოდა ისე როგორც ეხლა შენ.

ბედზე იმისი შიში ყველა არ ასრულდა: ჩვენი ქალაქი თავისუფალი დარჩა. რა დღესაც ზავი გამოაცხადეს, მეც ბალში სასერიწოთ გამოამიშვეს. შავები, რომელიც მე ასე არ მომწონდა ჩამაცვეს დედამ მითხრა, რომ ეს ძაძები მწუხარების ნიშანია. დედაც, მამაც ძაძებში იყვნენ გამოწყობილნი. მშვენიერი ამინდი იდგა. ჩიტები გალობდნენ და ფერად ფერადი ყვავილები გაშლილიყვენ, თითქოს არაფერი არ მომხდარაო, დანგრეული, ცეცხლისაგან დამწვარი და გაშავებული სახლები რომ არ ყოფილიყო. ეს გვიშლიდა მზის სხივებით, ყვავილებით და ფრინველების გალობით დავმტკბარვითყავით.


მე პავლეზე ვფიქრობდი და ვწუხდი, რომ ის ვერაფერს ვეღარ ნახავს, ფილოსთანაც ვეღარ ვითამეშებ.

უცბათ ნაცნობი სტვენა მომესმა, მე შევეკრთი! ეს ლიუსი უნდა იყო.

მართლაც ბაღის კარები გაიღო და ლიუსიმ შემოირბინა. ისიც ძაძებში იყო; ომში ძმა მოუკიდეს. უწინდებური თამაშობის გუნებაზე არ ვიყავით. ჩვენ წყნარათ სკამზე ვიჯექით და ყველაფერს რაც კი ამ ხანში უსიამოვნობა და უბედურება გამოვიარეთ, უამბობდით ერთმანეთს.

რამდენიმე კვირის შემდეგ მტრის ჯარმა ჩვენი ქალაქი სრულებით მიატოვა: მე და მამა დაბრუნებული ჯარის შესახვედრათ წავედით.

მე თავიდან ქუდი მოვიგლიჯე, ვაქნევდი და სხვებთან ერთათ ვყვიროდი: „ვაშა“ აღელვებისაგან ყელში წამიჭირა და უცნაურათ ვწრიბინებდი. გარშემო ყველანი ტიროდნენ: ქალები, კაცები. მეც თავი ვეღარ შევიმაგრე და ღაფა-ღუფით ცრემლები წამომსკდა. მეორე დღეს ხელონები გამოჩნდნენ და სახლების შეკეთებას შეუდგნენ. ქალაქმა მალე თავისი ჩვეულებრივი ფერი მიიღო, მაგრამ ამით საქმე არ გასწორდა თითქმის ყველა ოჯახში გლოვა და ტირილი იყო, ჩვენ საშინელი მოწყენილები ვიყავით: არ იცინოდნენ, არ ხუმრობდნენ უწინდებურათ. დედა უცბად დაბერდა, თმები გაუთეთრდა, აღარც პიანინოზე უკრამდა, არც სტუმრათ დაიარებოდა, არაფერი არ იამებოდა. დიდ ხნობამდინ სავარძელში გაუნძრევლივ იჯდა. სახეზე მწუხარება და მწარე ფიქრები ეხატებოდა. ვანო თავის ყავარჯნებს არა სტოვებდა და ბოლოს გავიგე, რომ იმას ორივე ფეხი მოწყვეტილი ჰქონდა. ვერ წარმოიდგენ თუ რა საშინელება იყო ამ დასახიჩრებულის მდგომარეო-



ბა! ის არა ჩიოდა და თავის ბედს დაემორჩილა, მაგრამ ვერ
 ნობდი, რომ მას არ უნდოდა ჩვენ შევეწუხებინეთ, ის მეღა-
 ლით დაასაჩუქრეს და გულზე გაკეთებული ჰქონდა: მე დარ-
 წმუნებული ვივავი, რომ დიდის სიამოვნებით ხელს აიღებდა
 ჯილდოზე ოღონდა კი მისთვის ფეხები დაებრუნებინათ.

მამაც, როგორც მშვიდობა დამყარდა თავის თანამდებო-
 ბას დაუბრუნდა და დაუსვენებლივ მუშაობდა. ომიანობამ იმ-
 დენი ზარალი მოუტანა, რომ გამოკეთება ძნელი იყო, ოჯა-
 ხის ხარჯი ძალიან შევიამკირეთ. მაგიდასთან მამა სულ დაღვ-
 რემილი იჯდა და რალაცას ანგარიშობდა.

ერთხელ დამიძახა და მითხრა:

ყური დამიგდე, ჩემო მეგობარო, და კარგა ჩაფიქრ-
 დი. ყველაფერი რომ უწინდებურათ იყოს შენ კვლევ კარგა
 ხანს მოსვენებით და ბედნიერათ იცხოვრებდი და სწავლის
 აჩქარება საჭირო არ იქნებოდა. არ აფიქრდებოდით, რომ მო-
 მავალზე გვეფიქრნა გარემოება შეიცვალა. უნდა აფიქრდეთ.
 პავლე აღრა გვყავს! ვანოს ჩვენი დახმარება არ შეუძლია.
 პირიქით მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენი ზრუნვა და მოვლა
 სჭირია. მე მარტო ერთს იმდენი მუშაობა არ შემიძლია, რომ
 ყველას გაგწვდეთ. შენის მეტი თანაშემწე აღარავინ არა მყავს,
 უნდა რამე ხელობა ამოიჩინო; რა ხელობა—მე თითონ არ
 ვიცი, ეს შენგან იქნება დამოკიდებული, რის ნიჭიც შეგწევს,
 მაგრამ უნდა იცოდე, რომ ეს გასართობათ კი არ იქნება,
 ამას ჩაფიქრება სჭირია და ადვილი საქმე არ არის... უნდა
 გახსოვდეს, რომ მუშაობა ყველა ადამიანის ვალია. შენ
 სხვებზე აღრე მოგიხდება, მაგრამ რა უყოთ. ახლავე სასწავ-
 ლებელში მიგაბარებ, უნდა ეცადო და კარგა ისწავლო, რომ
 მალე სასარგებლო ადამიანათ იქცე და თანაშემწე იმ პირები-
 სა, რომლებიც აქნობამდე შენთვის ზრუნავდენ... გესმის?

ჩემს უზრუნველ ცხოვრებას ბოლო მოელო! ერთ მხრივ
 ამ ამბავმა შემაწუხა და ჩამაფიქრა, მაგრამ მეორეს მხრივ კი
 ვამაყობდი, რომ საჭირო და სასარგებლო ვიქნებოდი, მამას
 თანაშემწე მე დავპირდი ჩემი მოვალეობა სვინდისიერათ ამე-
 სრულებინა და გადავწყვიტე, რომ ჩემს დაპირებას არ გალუდ-
 გებოდი და ვიბეჯითებდი.

სამხედრო სამსახურზე აღარ ვოცნებობდი, ღვეწროობაც
 აღარ მინდოდა, არავის დამარცხება არა მსურდა! ესეც ომი
 მარტო სურათებით კი არ ვიციდი, წამდვილათ ვნახე ჯამდენ-
 ნი უბედურება, შიში და გაქირვება მოგვაყენა, რომ უკი-
 სასურველი არ იყო.

(თარგმანი)





ს ა რ ჩ ე ვ ი

1915 წლის ჟურნალ „ჯეჯილისა“

პატარების განყოფილება.


ლ ე ქ ს ე ბ ი.

| | № | გვერდი |
|--|----------|--------|
| სახალწლო ნანა. შიო მღვიმელისა | I | 3 |
| აკაკის გარდაცვალების გამო. ვ. გორგაძე სა | II | 67 |
| მგოსნის ხსოვნას შიო მღვიმელისა | — | 73 |
| პირველი გაზაფხული. სავლე აბულაძისა | III | 131 |
| ობობა. შიო მღვიმელისა | IV | 195 |
| სოფლათ. მიმქრალისა | V | 259 |
| დილა. სავლე აბულაძისა | — | 272 |
| ბავშვების ვედრება. შიო მღვიმელისა | VI | 323 |
| მგზავრობა. სავლე აბულაძისა | — | 331 |
| ვაჟა-ფშაველას ხსოვნას. სავლე აბულაძისა. VII VIII | VII VIII | 387 |
| ყვინჩილა და ფისო. შიო მღვიმელისა | — | 390 |
| ბაბო-ქალა გ. დ. ჭრელაშვილისა | — | 422 |
| საჩუქარი. გ. დ. ჭრელაშვილისა | IX-X | 461 |
| მამა ომში წაიყვანეს. ა. კაპანისა | — | 470 |
| პატარა ქართველს. გერმანაშვილი'ა | XI | 531 |
| ჩიტი და მელა. შიო მღვიმელისა | — | 537 |
| საშობაო. კნ. ანასტასია ამილახვრისა | XII | 595 |
| შიოს იუბილეის გამო. ლადო გეგეჭკორისა | — | 613 |
| შობის მზეს. შიო მღვიმელისა. | — | 631 |

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი.

(ორიგინალური და ნათარგმნი)

| | | |
|---|---|----|
| შირაქში. ივ. გომართელისა | I | 5 |
| მეშვიდეს აღარ ერგო! ანასტასია წერეთლისა | — | 15 |
| შვილობილი. კუდრაქასი (თარგმანი) | — | 19 |
| წელდის თავი. გ. დ. ჭრელაშვილისა | — | 27 |





| | | |
|---|----------|-----|
| აკაკის ხსოვნას. თამარა გომართლისა | II | |
| აკაკის დაკარგვა. იტა ნაკაშიძისა | — | 70 |
| ჩემი ბავშობის მოგონება. ეკ. მესხისა | — | 75 |
| აკაკი. ივ. გომართლისა | — | 78 |
| წელდის თავი. (დასასრული) გ. დ. ქრელაშვილისა | — | 83 |
| შირაქში (შემდეგი) ივ. გომართლისა | — | 90 |
| გაზაფხული დგება. ან კანდელაკისა | III | 132 |
| შირაქში. (გაგრძელება) ივ. გომართლისა | — | 134 |
| პატარა ლარიკი. (ფრანგულიდან) | — | 141 |
| თინას ბატკანი თ. ზ. თარხან-მოურავისა | — | 148 |
| აღება გ. დ. ქრელაშვილისა | — | 159 |
| გულნარა და მზე. სევედიასი | IV | 197 |
| შირაქში (გაგრძელება) ივ. გომართლისა | — | 202 |
| აღება (დასასრული) გ. დ. ქრელაშვილისა | — | 214 |
| შირაქში. (დასასრული) ივ. გომართლისა | V | 263 |
| პურის ნატეხი. (თარგმანი) ან. ახალშენიშვილისა | — | 273 |
| მოჩხუბარნი | VI | 325 |
| დაკარგული იმედი. გი — გი ბ — ერიასი | — | 333 |
| ლაზარეთი ცხენებისთვის | — | 347 |
| ვაი ჭკუისაგან. არ. ფანცულაისი | V — VIII | 393 |
| გაუმარჯოს საფრანგეთს. (ფრანგულით) ერ. კი- წმარიაშვილისა. | — | 399 |
| ილიკო. ან. წერეთლისა | — | 409 |
| ტყვე მატარებელი. კუდრაქასი | — | 418 |
| ზამთარი ვვიდგება' (ფრანგულიდან) | .IX X | 467 |
| თედოს ფინია (ფრანგულიდან) | — | 469 |
| კურდღლის ოჯახი. გ. დ. ქრელაშვილისა | — | 471 |
| მგზავრები. (ფრანგულიდან) ტასოსი | XI | 532 |
| საწადელს მიაღწია! (ფრანგულიდან) ტასოსი | | 534 |
| წაბლა დაგვიბრუნდა! (თარგმანი) კუდრაქასი | | 541 |
| კურდღლის ოჯახი. (დასასრული) გ. ქრელაშვილისა | | 547 |
| ფერია ლამარტინისა. (ფრანგ.) ელ. დ. წ — ლი. XII | | 596 |
| ყანის პირათ. (ფრანგულიდან) ელ. დ — წ — ლი | — | 601 |
| ბებიას სიზმარიც დაეჯერება. ან. წერეთლისა | — | 613 |



ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთისა.

| | | |
|---|-----|-----|
| აკაკის გარდაცვალება. დათიკო იაშვილისა | I | 1 |
| ნიკო ლომოური. ეკ. გაბაშვილისა | IV | 226 |
| აბრაამ ლინკოლნი თარგმანი კუდრაქასი | XII | 615 |

ბუნების მეტყველებიდან.

(მოგზაურობა და სამეცნიერო ამბები)

| | | |
|---|------|-----|
| როგორ ირჩენენ ცხოველები თავს. კუდრაქასი (თარგმანი) | V | 280 |
| უსახლკარონი. კუდრაქასი | VI | 341 |
| როგორ კეთდება გოლანდიის ყველი | IX-X | 480 |

კ ო მ ე დ ი ე ბ ი.

| | |
|--|-----|
| ალ-ქაჯი. 1 მოქმედებ. პიესა კ. ქსნისპირელისა. VII | 618 |
|--|-----|

(იგაგები, ზღაპრები, ლეგენდები ჩვენი და უცხოეთისა)

| | | |
|---|----------|-----|
| სიმართლის ზარი. იტალიანური თქმულება | IV | 211 |
| თითების განგაში | V | 261 |
| ცელქი წვიმუნა. ლომბროზის ზღაპარი | VI | 326 |
| ლოკოკინა და კატა. გალექსილი ი. სიხარულიძისა — | 330 | |
| ფუტკარი რატომ ზოგ ყვავილებს არ ეკარგება. ტ. | VII-VIII | 388 |
| ძაღვები. გალექსილი ი. სიხარულიძისა | — | 337 |
| რკოს ამბავი | — | 419 |
| გველი და ქლიბი. ი. სიხარულიძისა | IX-X | 479 |
| მელიას ოინები თარგმანი ეკ. მესხისა | — | 482 |
| ტბა და მდინარე ი. სიხარულიძისა | XI | 544 |

წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი.

| | | |
|---|-----|-----|
| კითხვების პასუხი | I | 35 |
| წერილი რედაქტორთან (ჯეჯილის 25 წლის შეს- რულების გამო) | — | 39 |
| წერილი კავკავის ქართული სკოლის მოწაფეებისა | II | 82 |
| ვინ არის ჩიტზე მარდი | III | 192 |

უპროსაგის განყოფილება.

ლ ე ქ ს ე ბ ი.

| | | |
|--|----|-----|
| სწავლა წინსვლის ხილია. ვ. რუხაძისა | I | 42 |
| აკაკი. გ. ბოკერიასი | II | 101 |




| | | |
|--|----------|-----|
| სააღდგომო შიო მღვიმელისა | III | 171 |
| ჩიტი კვდებოდა. გელასი | — | 174 |
| ჩემს კერას. გ. დ. ჭრელაშვილისა | IV | 231 |
| უცხოეთში. ი. მჭედლიშვილისა | — | 250 |
| ჩანჩქერი. ვ. რუხაძისა | V | 287 |
| რობერტი ბორნისა (თარგმანი) | VI | 363 |
| მინდვრის თაგვი. ილ. ფერაძისა | — | |
| ყრმებს. შიო მღვიმელისა | VII-VIII | 426 |
| ობოლი. ლადო გეგეჭკორისა | IX-X | 502 |
| * * * ლადო გეგეჭკორისა | XI | 564 |
| ღამე. კ. გოგოლაძისა | — | 570 |
| შობის ხე ვ. რუხაძისა | XII | 635 |

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი.

ორიგინალური და ნათარგმნი.

| | | |
|---|----------|-----|
| ბუღბუღი და ძერა. თარგმანი ნინო ავალიანისა | I | 43 |
| შალიკოს საიდუმლო. ე. ჭ. | III | 178 |
| პელლე ცოცხალია და კარგათ არის ეკ. მესხისა | IV | 232 |
| სიმონიკას წერილი. გიოსი | V | 288 |
| მეგობრები. ირაკლი ფერაძისა (თარგმანი) | — | 301 |
| ნიკო ლომოუტრის ხსოვნას. ნინო ენუქიძისა | — | 317 |
| ბუკი. სოფლის ცხოვრებიდან იასე რაჭველისა | VI | 355 |
| მეგობრები. ირაკლი ფერაძისა. (დასასრული) | — | 374 |
| რიჩარდ ლომ-გულა. ან. წერეთლისა (თარგ- მანი) | VII-VIII | 428 |
| ომი. ბიძია, ჟორჟის ნაამბობი (გაგრძელება) | | |
| — თარგმანი ეკ. მესხისა | — | 445 |
| ვაიმე ბუზიკა! ცქვიტისა | IX-X | 503 |
| ომი. ეკ. მესხისა | — | 514 |
| ომი. გაგრძელება ეკ. მესხისა | XI | 571 |
| მოცურავე ქალაქი. (თარგმანი) კუდრაქისა | — | 588 |
| მწერების ძალ-ღონე | — | 592 |
| ოქროს ოც ფრანკიანი. ფრანსუა კოპპესი. ელ. დემოლონ წერეთელი, | XII | 636 |
| ომი. დასასრული. ეკ. მესხისა. | — | 643 |





ბუნების მეტყველებიდან მოგზაურობა და სამეცნიერო სტატიები.

| | | |
|--|----------|-----|
| ამბავი ზესკნელისა. ილ. ალბაზიშვილისა | I | 50 |
| ოსმალეთი. ალ. ფაღავასი | — | 59 |
| ამბავი ზესკნელისა. ილ. ალბაზიშვილისა | II | 121 |
| როგორ ათამაშებს მზე აღდგომის ბატკანს. ილ. ალბაზიშვილისა | III | 175 |
| მშობლიური ზრუნვა ცხოველთა შორის იტა ნაკაშიძისა | — | 182 |
| ოსმალეთი. ალ. ფაღავასი | — | 188 |
| ამბავი ზესკნელისა. ილ. ალბაზიშვილისა | IV | 241 |
| ოსმალეთი. ალ. ფაღავასი | — | 254 |
| ნიშა ყვავი. სეტონტომპსონისა თარგმანი თა- მარა ნაცვლიშვილისა | V | 297 |
| ოსმალეთი. ალ. ფაღავასი | — | 307 |
| ამბავი ზესკნელისა. ილ. ალბაზიშვილისა | — | 311 |
| ნიშა ყვავი. დასასრული სეტონტომპსონისა თა- მარა ნაცვლიშვილისა | VI | 361 |
| ამბავი ზესკნელისა. ილ. ალბაზიშვილისა | — | 367 |
| ოსმალეთი. ალ. ფაღავასი | — | 382 |
| ამბავი ზესკნელისა. ილ. ალბაზიშვილისა | VII-VIII | 454 |
| ოსმალეთი. ალ. ფაღავასი | | 462 |
| ჩვენი სამშობლოს კუთხე აქარა | IX-X | 509 |
| ამბავი ზესკნელისა მთვარე. ილია ალბაზიშვილისა | XI | 565 |
| ოსმალეთი ისლამი ალ. ფაღავასი | — | 583 |



ზღაპრები, ლეგენდები ჩვენი და უცხოეთისა

| | | |
|--|-----|-----|
| წმიდა ყრმის მტრედები (პოლონური ლეგ.) | I | 54 |
| წმიდა ყრმის მტრედები (დასასრული) ალ. ნათაძისა | II | 117 |
| ქრისტეზე თქმულება | III | 192 |

ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთისა.

| | | |
|---|----------|-----|
| აკაკი წერეთელი და მისი პოეზია. დათიკო ია- შვილისა | II | 103 |
| შიო მღვიმელი. ეკ. გაბაშვილისა | III | 173 |
| ნიკო ლომოური. შ. ქ-მძისა | IV | 251 |
| ვაჟა-ფშაველა. ან. წერეთლისა | VII-VIII | 442 |

წლის განმავლობაში მოთავესებულა სხვადასხვა წერილი ამბე- ბი: ანდაზები, გამოცანები, რებუსები, სახუმარო ამბები და სხვა.



მიიღვა ხელის მოწერა 1916 წლისათვის.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



სახალხო ფურცელი

გამოვა იმავე პრინციპით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა.
გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღვარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 50 კპ.
ფაქტ ნომერა ეველგან ერთი შუაში. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აფრილამდე სრულედ გადაიხთიან წლიურ ფასს, მიიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტონაში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერაკითხვ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ почтовыщикъ 190

მიიღვა ხელის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლიტიკო გაზეთი

„საქართველო“

უპრემიოდ—ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტონაში ქ. თბილისი, მასკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის კუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4, почтовый ящикъ № 76). და წერაკითავის საზოგადოებაში.

ჯეჯილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოჲლა გაუჲილა წალიწალი.

ჲეჲილი დაწესებულა 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თუეში ერთსელ, ჟურნალში ორი
განყოფილებბა, ზატარებისათვის და მოსწდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება
4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახეჲარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джелджили“

Открыта подписка на 1915 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія седмой).

Подписная цѣна

| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисъ. | Въ провинціи. |
|-----------------------|----------------|------------------|
| На годъ | 6 руб. — коп. | 8 руб. |
| „ полгода | 3 руб. 50 коп. | 4 руб. — 50 коп. |
| „ 3 мѣсяца | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяць | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая
ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ К. . Тумановъ Издатель З. З. Горделадзе.